ოქმი:**ო63.6321208001**
თარიღი:**27/07/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 33

ქ. სამტრედია. 26 ივლისი, 2021 წელი.

2021 წლის 26 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ბაია იმესაშვილი მ/შ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების

   განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კობა ძიძიგური/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (10 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. 2021 წლის 22 ივლისის N 62-622120388, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის

მოწონების შესახებ", წარმოდგენილი პროექტის განხილვის საკითხს.

(მომართვის N 62-622120388, 22/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N:12-63212041-63 23 /07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

2. ***2021 წლის 26 ივლისის N*** 62-622120717 , სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ", წარმოდგენილი პროექტის განხილვის საკითხს.

(მომართვის N 62-622120717 , 26/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63212076-63,** 26 /07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

3. ***2021 წლის 26 ივლისის*** N 62-622120753, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება გთხოვთ, ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, სოფელ ჩხენიშში სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის ნაცვლად განხორციელდება სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა, ხოლო სოფელ ბაშში სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შეასრულა არასამეწარმოე (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-მ, რის გამოც სამუშაოებზე განსაზღვრული თანხა 4875 ლარი მიემართება სოფელ ბაშის გარე განათების მოწყობაზე.

(მომართვის N 62-622120753, 26/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N:12-63212079-63**,** 26 /07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

4. ***2021 წლის 23 ივლისის*** N 62-622120424, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება საკრებულოს წერილის (N63-63211801, 29,06,2021) ანგარიშის მოსმენასთან დაკავშირებით. შესაბამისად

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა მოგვაწოდა ანგარიში 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით.

(მომართვის N 62-622120424, 23/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N:12-63212045-63 23/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

5. ***2021 წლის 22 ივლისის*** N 62-622120391, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29.06.2021 წლის #63-63211801 წერილის პასუხს. რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა წარმოადგინა ანგარიში 2021წლის ანგარიში 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით.

(მომართვის N 62-622120391, 22/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N:12-63212042-63 23 /07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

6. ***2021 წლის 23 ივლისის*** N 62-622120496, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29.06.2021 წლის #63-63211801 წერილის პასუხს. რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა წარმოადგინა ანგარიში 2021წლის ანგარიში 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით.

(მომართვის N 62-622120496, 23/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N:12-63212071-63 26/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის კომისია.

7. ***2021 წლის 23 ივლისის*** N 62-622120496, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, 2021 წლის 2 აგვისტოდან კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას. საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისრება ამავე კომისიის წევრს, ლიზა კრავეიშვილს.

(მომართვის N 62-622120496, 23/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N:12-

63212071-63 26/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

8. ***2021 წლის 26 ივლისის*** N63-63212073 საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ლეჟავას განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, 2021 წლის 10 აგვისტოდან კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას. მოვალეობის შეასრულება ეკისრება კომისიის წევრს ტარიელ დვალიშვილს.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ოღობერიძე

კობა ძიძიგური

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი